შპს „ვარციხე 2005“

ტექნიკური დავალება

შპს „ვარციხე 2005“-ის საკუთრებაში არსებული სათავე ნაგებობის ტერიტორიაზე განთავსებული ზეთსაწნეო მეურნეობის შენობების (ორი ერთეული) კაპიტალური შეკეთება/გადახურვის სამუშაოები

1. ზოგადი დახასიათება

სათავე ნაგებობა წარმოადგენს ვარციხე ჰესების კასკადის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჰიდროტექნიკური ნაგებობის კვანძს, რომელიც ემსახურება წყალსაცავში მდინარეებიდან (მდ. რიონი, ყვირილა, ხანისწყალი შენკადებითურთ) შემოდინებული წყლის ხარჯის რეგულირებას და მართვას.

სათავე ნაგებობის მთავარი კვანძებია: გასახსნელი კაშხალი ოთხი სეგმენტური საკეტით, წყალმიმღები სამი ფარით და ფსკერული გამრეცხი გალერეები ხუთი ჩამკეტი ფარით;

სეგმენტური საკეტებით (ოთხი ერთეული) ხდება წყლის დონის რეგულირება წყალსაცავში და წყალსაცავის ნატანისაგან დაცლა წყალუხვობის დროს.

სეგმენტური საკეტები იმართება ზეთის ჰიდროცილინდრებით, რომელიც მოძრაობაში მოდის მაღალი წნევის (40 კგძ/სმ^2) ზეთსაწნეო დანადგარებით;

ზეთსაწნეო დანადგარები და მათი მართვის კვანძები არის განლაგებული სათავე ნაგებობაზე მოწყობილ ზეთსაწნეო მეურნეობის შენობებში - ორი შენობა. ერთი შენობა მასში განთავსებული მოწყობილობებით ემსახურება ორი სეგმენტური საკეტის მართვას;

ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად შენობები დაზიანებულია, კერძოდ, სახურავებიდან ხდება ატმოსფერული ნალექების ჩამოდინება, დაზიანებულია როგორც შიგა, ასევე გარე ფასადის კედლების ქვიშა-ცემენტის ნალესები, ნესტის შედეგად კოროზირებულია რკინის კონსტრუქციები (ლითონის კარები, ლითონის ფანჯრის კონსტრუქცია, ლითონის კიბის საფეხურები მოაჯირითურთ);

პრობლემის მოგვარების მიზნით საჭირო არის გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელება.

2. ობიექტის ადგილმდებარეობა

დასავლეთ საქართველო, იმერეთის რეგიონი, წყალტუბოსა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიმდებარე ტერიტორია („ვარციხის წყალსაცავის“ ტერიტორიასთან არსებული სათავე ნაგებობა) - მიწის საკადასტრო კოდი - 30.03.38.041

ა) „№1, 2 სეგმენტური ფარების მართვის შენობა“ - ინვ. № 213000019;

ბ) „№3, 4 სეგმენტური ფარების მართვის შენობა“ - ინვ. № 213000020.

3. ობიექტის აღწერა

შესასრულებელი სამუშაოები ითვალისწინებს ორი იდენტური შენობის კაპიტალური შეკეთების/გადახურვის სამუშაოებს.

ერთი შენობის ზომებია: სიგრძე - 7 მ

სიგანე - 3 მ

სიმაღლე - 3,8 მ

კარების ზომებია - 2,4 მ X 1,0 მ

ფანჯარა - 1,3 მ X 1 მ

კიბის უჯრედი - 8 $მ^2$

აშენებულია ღრუტანიანი საკედლე ბლოკით, კედლები მოსახულია ქვიშა-ცემენტის ხსნარით, გადახურვა განხორციელებულია ღრუტანიანი ბეტონის ფილებით, ე.წ. „ბრტყელი გადახურვა“, რომელზეც მოწყობილი არის ორ ფენიანი ჰიდროსაიზოლაციო მასალა. შენობას აქვს ლითონის ერთი კარების ღიობი და ლითონის კონსტრუქციაზე შემინული ფანჯრის ღიობი, აგრეთვე ლითონის საფეხურებიანი კიბე ლითონის მოაჯირით.

4. საჭირო ღონისძიებები

- შენობის სახურავზე არსებული ჰიდროსაიზოლაციო მასალის დემონტაჟი;
- გადახურვის ფართის მომზადება ახალი საიზოლაციო მასალის მონტაჟისათვის პრაიმერის გამოყენებით;
- შენობის გადახურვის მოწყობა ორფენოვანი ახალი საიზოლაციო მასალით:
  - პირველი ფენა - სახურავის მასალა technonicol – uniflec - ტპპ;
  - მეორე ფენა - სახურავის მასალა technonicol – uniflec - ტკპ;
- ბრტყელი სახურავის ჰორიზონტალური და ვერტიკალური წყლის მიმღებების მოწყობა („ჯოლობები“);
- შიგა და გარე კედლებზე არსებული ქვიშა-ცემენტის ნალესებისგან განთავისუფლება;
- შიგა და გარე კედლების ლესვა მაღალხარისხოვანი ქვიშა-ცემენტის ხსნარით;
- შიგა კედლების შეღებვა ზეთოვანი საღებავით;
- გარე კედლების შებრიზგვა ცემენტის ხსნარით;
- გარე კედლების შეღებვა ფასადის საღებავით;
- ლითონის კონსტრუქციების (კარები, ფანჯარა, კიბის უჯრედი მოაჯირით) გაწმენდა კოროზიისგან;
- ლითონკონსტრუქციების შეღებვა ანტიკოროზიული საღებავით.

შენიშვნა: სამუშაოთა მოცულობების დადგენის დროს გაითვალისწინეთ, რომ სამუშაოები სრულდება ორ იდენტურ შენობაზე და მოცულობები და ღირებულებები წარმოდგენილ უნდა იქნას ხარჯთაღრიცხვის სახით ცალ-ცალკე თითოეული შენობისათვის და კრებსითი ხარჯთარრიცხვა ობიექტისათვის.

5. დამატებითი მოთხოვნები:

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:

- ტექნიკურ დავალებაში მოცემული „საჭირო ღონისძიებების“ მიხედვით დადგენილი მოცულობებით შედგენილი ობიექტის ხარჯთაღრიცხვა თითოეულ შენობაზე და კრებსითი ხარჯთაღრიცხვა დამოწმებული პასუხისმგებელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით;
- მსგავსი სამუშაოების წარმოების გამოცდილება;
- ჩამონათვალი იმ პროექტების, რომლებიც მათ მიერ იქნა განხორციელებული საქართველოში.

შენიშვნა: სამუშაოების შესრულება დაგეგმილია 2026 წლის II კვარტალში

შპს „ვარციხე 2005“-ის სატენდერო კომისია